



საქართველოს მთავრობის განკარგულება

N303 2016 წლის 25 თებერვალი ქ. თბილისი

საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი გაზით მომარაგებისათვის საჭირო ღონისძიებების შესახებ

1. საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი გაზით მომარაგების ღონისძიებების ხელშეწყობის მიზნით, შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“ უზრუნველყოს შემდეგი პროექტების განხორციელება:

ა) ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფლების: ბელღევის, ბოსღევისა (გაღმა ბოსღევი, გამოღმა ბოსღევი) და ქვედა საზანოს გაზიფიცირებისთვის საჭირო საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების შესრულება;

ბ) გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფლების: კალაურისა და ვაჩნაძიანის გაზიფიცირებისთვის საჭირო საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების შესრულება;

გ) ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფლების: ცაიშისა და რიყეს გაზიფიცირებისთვის საჭირო საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების შესრულება;

დ) ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფლების: ბაყილოვანის, საკობიანოს, ყვარელწყლის, დედისფერულის, ქორეთის, დუისის, წინუბნის, ჯოყოლოს,

ბირკიანის, ხორბალოს, ზემო ხალაწანის, შუა ხალაწანის, ქვემო ხალაწანის, დუმასტურისა და ომალოს გაზიფიცირებისთვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების შესრულება;

ე) კასპის მუნიციპალიტეტის სოფლების: გომისჯვარის, ლავრისხევის და წინარების გაზიფიცირებისთვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების შესრულება;

ვ) გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ფოლადაანთკარის გაზიფიცირებისთვის საჭირო საპროექტო სამუშაოების შესრულება;

ზ) წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლების: ზედა მესხეთისა და ქვედა მესხეთის გაზიფიცირებისთვის საჭირო საპროექტო სამუშაოების შესრულება;

თ) დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მჭადიჯვარისა და ქართლის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფლების: ქართლის, ბუჩაანთკარის, ვაშლობის, ზენუბნის, მენესოს, მუგუდას, დოლასქედის, საქერეს, სონდას, ჩიტაურების, ჭალისოფლის, ხამუშასა და ჯულისის გაზიფიცირებისთვის საჭირო საპროექტო სამუშაოების შესრულება;

ი) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ქვედა ნასაკირალისა და სოფლების: ნასაკირალის, ქვედა ბახვის, ციხისფერდის, შრომისა და წვერმაღალას გაზიფიცირებისთვის საჭირო საპროექტო სამუშაოების შესრულება;

კ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფლების: წყალწმინდას, ქვემო აკეთისა და აცანას გაზიფიცირებისთვის საჭირო საპროექტო სამუშაოების შესრულება;

ლ) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფლების: ბუკისციხის, დაბლაციხის, შუა ამაღლების, ამაღლებისა და სამების გაზიფიცირებისთვის საჭირო საპროექტო სამუშაოების შესრულება;

მ) ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფლების: გელათისა და მოწამეთას გაზიფიცირებისთვის საჭირო საპროექტო სამუშაოების შესრულება;

ნ) გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრას გაზიფიცირებისთვის საჭირო საპროექტო სამუშაოების შესრულება;

- ო) მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხათგვერდის გაზიფიცირებისთვის საჭირო საპროექტო სამუშაოების შესრულება;
- პ) ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ წითელხევის გაზიფიცირებისთვის საჭირო საპროექტო სამუშაოების შესრულება;
- ჟ) ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაისუბნის გაზიფიცირებისთვის საჭირო საპროექტო სამუშაოების შესრულება;
- რ) ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფლების: ლაშქა და კიცხის გაზიფიცირებისთვის საჭირო საპროექტო სამუშაოების შესრულება;
- ს) ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გაზიფიცირებისათვის საჭირო მკვებავი გაზსადენის საპროექტო სამუშაოების შესრულება;
- ტ) ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ უხუთის გაზიფიცირებისთვის საჭირო საპროექტო სამუშაოების შესრულება;
- უ) მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ვედიდკარის გაზიფიცირებისთვის საჭირო საპროექტო სამუშაოების შესრულება;
- ფ) თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის დაბა მანგლისის გაზიფიცირებისთვის საჭირო საპროექტო სამუშაოების შესრულება.

2. ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ აბასთუმნის გაზიფიცირების მიზნით, შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“ საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ აბასთუმნის გაზიფიცირებისთვის საჭირო მკვებავი გაზსადენის საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების შესრულება.

3. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელების მიზნით, საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრომ „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით მისთვის გამოყოფილი ასიგნებებიდან უზრუნველყოს შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ კაპიტალის 20 000 000 (ოცი მილიონი) ლარით გაზრდა.

4. შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიამ“ უზრუნველყოს ამ განკარგულების მე-3 პუნქტის შესაბამისად გამოყოფილი და მის კაპიტალში შეტანილი თანხებიდან 4 020 000 (ოთხი მილიონ ოცი ათასი) ლარისა და აგრეთვე საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 დეკემბრის №2253 განკარგულებით გამოყოფილი და მის კაპიტალში შეტანილი თანხების ფარგლებში მორჩენილი ეკონომიის გამოყენება საქართველოს მთავრობის 2015 წლის 5 თებერვლის №153 და 2015 წლის 23 ივნისის №1325 განკარგულებების საფუძველზე შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიისთვის“ დავალებული გაზიფიცირების პროექტების დასრულების მიზნით.

5. ეთხოვოთ ზესტაფონის, გურჯაანის, ზუგდიდის, ახმეტის, კასპის, გარდაბნის, წყალტუბოს, დუშეთის, ოზურგეთის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, ტყიბულის, გორის, მცხეთის, ბაღდათის, ლაგოდეხის, ხარაგაულის, ჩხოროწყუს, ვანის, მარტვილის, თეთრიწყაროსა და ადიგენის მუნიციპალიტეტების გამგეობებს ამ განკარგულების პირველი და მეორე პუნქტებით გათვალისწინებული სამუშაოების ნებართვების გაცემის მიზნით საჭირო ქმედებების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი